



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030132622908921

№ 01-157/ო

18 / მაისი / 2021 წ.

„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) - ის ვაქცინაციის პროცესის ადგილზე უსაფრთხოდ მიწოდების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად და ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული COVID-19 - ის ინფექციის ტრანსმისიის შესაჩერებლად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, „საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N67 განკარგულებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :


მუხლი 1. ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების, ასევე სსიპ - სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სტრუქტურული ერთეულების - ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციარების და პერსონალის, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის პერსონალის და სადღეღამისო მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციარების, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულების/ მსჯავრდებულებისათვის covid-19-ის ვაქცინაციის (შემდგომში „ვაქცინაციის“) სერვისის ადგილზე უსაფრთხოდ მიწოდების მიზნით დაევალოს სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს (ა.კალანდია), ვაქცინაციის პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე ვაქცინაციისთვის განსაზღვრულ დაწესებულებასთან თითო ერთეული რეანიმობილის მობილიზება შესაბამისი სამედიცინო ბრიგადითა და გადაუდებელი საჭიროების საგნებით/მედიკამენტებით.

მუხლი 2. დაევალოს სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (ა.გამყრელიძე) უზრუნველყოს ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების, ასევე სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების - ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციარების და პერსონალის, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის პერსონალის და სადღეღამისო მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციარების, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულებისათვის ვაქცინაციის პროცესის კოორდინაცია.

მუხლი 3. გამსვლელი ამცრელი ბრიგადის მიერ შესაბამისი სამიზნე ჯგუფის აცრის მომსახურების ღირებულება ანაზღაურდეს „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით დამტკიცებული „იმუნიზაციის“ პროგრამის მე-4 მუხლის (დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე